

1939

# თქცომბრედი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



1 9 3 9 5

# ოქტომბრული

№ 7  
03 ლისი  
1939 წ.



ბაგოგვეფლოვა „კომუნისტი“

რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., №34  
ტელ. № 3-02-61

სამ. ა. ლ. კ. შ. ცეკას და სამ. ბანსახოვის ერთობიური ორგანო

## შინაარსი

	37-
1. ნინო ნაქაშიძე—ლაო-ჩენ (მოთხრობა) . . . . .	1
2. ი. ზარიშხვილი—ჩვენი ვანცხადება (ლექსი) . . . . .	4
3. ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი),—მამას დაეძალა (მოთხრობა) . . . . .	5
4. გიორგი ძუჩიშვილი,—ჩვენი ჩუმო მოამაგვე (ლექსი) . . . . .	6
5. დ. ნადირაშვილი—თრითიულია (ნამდვილი ამბავი) . . . . .	7
6. თ. ზანთიაშვილი—ჭვეყანა ხვალ . . . . .	10
7. გრიგოლ ციცაღაძე,—ლილა (ლექსი) . . . . .	12
8. დ. თომაშვილი,—ჩვენი გუჯა (ლექსი) . . . . .	13
9. ვახო ქაპანაძე,—ყურძნის წვენის საიდუმლოება (მოთხრობა) . . . . .	14
10. ძლინა აგლაძე—შვიშარა მონადირე (ლექსი) . . . . .	16
11. ლ. კახიანი—ზღვის ძროხა (ნარკვევი) . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
12. ბაეშეთა შემოქმედება (ლექსები) . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.

ქურნალის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ი. ქოქიაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. შიშინაძე      პასუხისმგებელი მდივანი: თ. ზანთიაშვილი

გადაცა წარმოებას 20/V 39 წ.      ქალაქის ზომა 60×92  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VI      ფორმათა რაოდენობა 20-გვ. 9<sup>1</sup>/<sub>3</sub>×14

# რა რა

ზღვის მახლობლად ცხოვრობდა სიაო-ჩინ-ჩაო. სიაო-ჩინ-ჩაო, როგორც ყველა მისი მეზობელი, მეთევზეც იყო და მიწისმუშაც. მას ჰქონდა პურისა და ბრინჯის პატარა ყანა და ბოსტანი. კაცმა რომ თქვას, იმის ყანაც და ბოსტანიც, როგორც ყველა მისი მეზობლისაც, ბოსტანად ჩაითვლებოდა, იმიტომ რომ პურის მარცვლებს კვლებში ცალცალკე ისე თესავდნენ, როგორც ლობიოსა და სოიოს. სოფელი მჭიდროდ იყო დასახლებული და თითო მოსახლეს პატარა პატარა მიწის ფართობი ჰქონდა.

სიაო-ჩინ-ჩაოს მეუღლე ბაი-დე-ლი და ერთადერთი ვაჟი ლაო-ჩენ—ყველანი გულმოდგინედ მუშაობდნენ ამ მიწის პაწია ფართობზე და თუმცა არ ჰყავდათ არც ძროხა, არც ცხენი, არც ქათამი, სამაგიეროდ თევზი, ბრინჯი, პური და მწვანილი უღვეველი ჰქონდათ და ბედნიერად ცხოვრობდნენ. სიაო-ჩინ-ჩაოს ირგვლივ ყველგან ჩამწკრივებული იყო ისეთივე სახლები, როგორიც მას ჰქონდა: ყვითელი გაოლიანის წნელით დაწნული და ყვითელი ტალახით შელესილი, ყვითელი გაოლიანის ფურცლიანი ჩალით დაბურული და გაოლიანისვე წნელით დაწნული ქილობის კარებიანი ფაცხები.

სიაო-ჩინ-ჩაოს სახლში დიდ, გრძელ და ფართე ტახტზე იჯდა მოხუცი მამა. მისი ნაწნავები მთლად თეთრი იყო, წარბები სრულიად ქალარა, თვალებიც

თითქოს გახუნებოდა და ამიტომ თითქმის ვეღარაფერს ხედავდა.

დღით, როდესაც კარგი დარი იყო, როდესაც ქარი არ ქროდა და მზეც ძალიან არ აცხუნებდა, სიაო-ჩინ-ჩაო მიუახლოვდებოდა მამას, ასწევდა მალლა ორივე ხელის ცერებს, ფეხებს განზე გადაჰმად, ოდნავ ჩაჯდებოდა, მდაბალ სალამს მისცემდა და ეტყოდა:


— დილა მშვიდობისა, მამავ და უხუცესო! არ ინებებ მზის გულზე გამობრძანებას?

მოხუცი სიაო-ჩინ-ჩაოს ნიშნად გაიღიმებდა, ელამ თვალებს გაახელდა, თვითონაც ასწევდა ორივე ხელის ცერებს და მდაბლად დაუქნევდა თავს. სიაო-ჩინ-ჩაო გამოიყვანდა მამას გარეთ და დასვამდა მისთვის დაგებულ პატარა ქილოზზე. მაშინ სახლიდან გამოვიდოდა ბაი-დე-ლი და ეტყოდა:

— მამავ და უხუცესო, რას ინებებ, დღეს რა მოგართვა: თევზი, ბრინჯი, ჩაი, თუ ჩემი გაკეთებული, ხახვითა და ნივრით შეზავებული ხაჭაპური? მოხუცი ორივე ხელს გაუწევდა და თავს დაუქნევდა:

— ყველაფერს, ყველაფერს. მე ყველაფერი მიყვარს და მომწონს, რასაც შენ აკეთებ, ბაი-დე-ლი.

ბაი-დე-ლი გადასწევდა ქილოზის კარს, შევიდოდა სახლში და პატარა ხანს შემდეგ ლაო-ჩენს, მკვირცხოსა და შავთვალა ბიჭს, გამოჰქონდა ლამაზად დახატული



საქმელი, ფიალით მწვანე, გამჭვირვალე ჩაი, დაუდგამდა წინ ჭილობზე და ეტყოდა: — მიირთვი, პაპავ და უხუცესო, ძალიან გემრიელი ხაჭაპურია!

— ჰოო, ძალიან, ძალიან გემრიელია, ლაო-ჩენ, შენ კარგი ბიჭი ხარ, ლაო-ჩენ, ნამდვილი ჩინელი, ზრდილობიანი და გამგონე. დედაშენიც საუკეთესო ქალია...

— ჰო, პაპა, საუკეთესოა, მის თმას კიდევ მიგმატა ერთი კვანძი, ახლა ყველა შეიტყობს, რომ ის ოცდაათ წლისაზე მეტი ხნისა.

— ეს კარგია, ლაო-ჩენ, ძალიან კარგი, რაც მეტი ხნისაა კაცი, უფრო პატივსაცემია, ჩემო ბიჭიკო. მამაშენიც ყოჩაღია, როგორც შეფერის ჩინელს, მუშა და ზრდილობიანი, მხიარული. სად წავიდა, ჩემო ბიჭიკო, მამა?

— ოო, პაპა, მამა ბოსტანში მუშაობს, დედაც იქ არის, მე სკოლაში უნდა წავიდე და შემდეგ მე მათ უნდა დავეხმარო. შენ რომ ხედავდე, პაპა, როგორ მუშაობენ ჩვენი მეზობლებიც ბოსტანებში, ბაღებში, ჩაით შეფენილი მაღალ გორაკის ტერასებზე...

— ჰო, ბიჭიკო, განა არ ვიცი, ჩვენ, ჩინელები, ასეთები ვართ ყველანი, მუყაითი მშრომელი და...

მაგრამ ახლა ყველაფერი აირია და შეიცვალა. ლაო-ჩენის ქვეყანას, ჩინეთს, იაპონელების ურდოები შემოესიენ, ქლეტენ და ტყვედ მიჰყავთ ჩინელები, ანადგურებენ და წვავენ სოფლებსა და ქალაქებს და თელავებ ბოსტანებსა ყანებს. სოფლებიდან გავიდნენ ახალგაზრდობა და ხანში შესული მამაკაცები და ქალებიც, რომ არ შემოუშვან თავის სამშობლოში იაპონელები, რომელთაც გადაუწყვეტათ ჩინელი ხალხის დაჩაგვრა და აწიოკება, რომელთაც უნდათ გაბატონდნენ ჩინეთში და დაიმონონ მშვიდი, შრომისმოყვარე ჩინელი ხალხი.

სიაო-ჩინ-ჩაოს სოფლიდანაც წავიდნენ მამაკაცები, ახალგაზრდობა და ხანში შესულებიც. დარჩნენ სოფელში ქალები და წერილი ბავშვები. ბოსტანებშიაც და ყანებშიაც ქალები და ბავშვები მუშაობდნენ.

ბავშვები კარგახანა სკოლაში აღარ დადიან. დილაობით ლაო-ჩენს გამოჰყავს ახლა პაპა და ისიც ზის სახლის წინ ტილობზე დაღონებული, თვალმუცხუტული. შაშხანების გრიალი და ტყვიამურქვევის კაკანი უფროდაუფრო ახლოვდება.

— ლაო-ჩენ, სად არიან ახლა ჩასაფრებულნი ჩვენი პარტიზანები? — ჰკითხა პაპამ ლაო-ჩენს, როდესაც ის გამოიყვანა დილით ლაო-ჩენმა და დასვა თავის ადგილას.

— ისევ იქ არიან, პაპავ, მდინარე ტიან-ლანის ნაპირას. ამბობენ, მტერი იქიდან მოდის და არ გამოვუშვებთო. მამაც იქ არის. მე ვნახე გუშინ. მიირთვი, პაპავ და უხუცესო.

— ლაო-ჩენ, ლაო-ჩენ! — მოისმა ამ დროს წვრილი ხმა.

ლაო-ჩენმა სწრაფად ასწია თავი. მათკენ მორბოდა პატარა გოგონა. გოგონას გრძელი ვიწრო შარვალი, განიერი ქრელი პერანგი და თეთრი, სქელლანჩებიანი ფეხსაცმელები ეცვა. თმა გადაშვებული ჰქონდა ბეჭებზე. ხელში მითელ ცხვირსახოცში გახვეული რაღაც მოჰქონდა მაღლა აწეული.

— ლაო-ჩენ, ნახე, რა მოგიტანე!

მაგრამ დაინახა თუ არა მოხუცი, ასწია ორივე ხელის ცერები, ჩაჯდა და მდაბალი სალამი მისცა. ლაო-ჩენი გოგონას დანახვაზე წამოხტა, მისი გრძელი ქრელი ხალათი კოჭებამდის დაეშვა და შავი ნაწნავი ბეჭებზე გადაუვარდა.

— რა არის ეს, სიო-ხო, რა მომიტანე?

— ეს ცხენის პატივია, ლაო-ჩენ, შენი ბოსტნისათვის.

— აი, სწორედ აქ მაკლია ნაკელი, — თქვა ლაო-ჩენმა, გაშალა ცხვირსახოცი, დასრისა ცხენის პატივი ხელით და ფრთხილად ჩაყარა კვალში. — შენი დიდი მადლობელი ვარ, სიო-ხო, მაგრამ სად იშოვნე ცხენის პატივი?

— გუმბრნატორის კაცმა ჩამოიარა ცხენით, ლაო-ჩენ. ჩვენ სოფელს მტერი უახლოვდება და გადით სოფლიდანო.

— ჩვენ სოფელში მტერს არ შემოვუშვებთ, სიო-ხო, მე შენ გეუბნები. ჩვენ სოფელში მტერი კისერს მოიტყეს... ასე

ამბოზს პაპა, და პაპა ხომ ისე დიდი ხნისაა, რომ ყველაფერი იცის. ის ამბობს: ჩინეთს ვერაფერს დაიპყრობს, ბევრი ვართ და გვეყვარს ჩვენი სამშობლოო.

— მამა ამბობს, ლაო-ჩენ, რომ ჩვენ თუ დაგვხოცეს ომში, ჩვენი მაგიერობა შეილევბა უნდა გასწოთო.

— რასაკვირველია, სიო-ხო. მამა-ჩემმა, ომში რომ მიდიოდა, მეც ასე დამიბარა, და მის მაგიერ მე ვმუშაობ ყანაში, ბოსტანში და ვუვლი მოხუც პაპასაც, მაგრამ, თუ საჭირო იქნა, მეც დავიციებ სამშობლოს.

— იცი, ლაო-ჩენ, მამა ამბობს, ჩვენ რომ ბოლშევიკები ვიყოთ და ისეთი ხელმძღვანელი გვეყავდეს, როგორც იმათ ჰყავთ, იაპონელები ვერ გაბედვდნენ ომის ატეხასო.

— მამაჩემიც ასე ამბობს, სიო-ხო, მამა ამბობს, უსათუოდ უნდა წავიდე ბოლშევიკების ქვეყანაში, მოსკოვში, და შენც უნდა წავიყვანო. უნდა შევისწავლოთ იმათ წესები და ჩვენ ქვეყანაში უნდა გადმოვიტანოთ...

— მეც წამიყვანე, ლაო-ჩენ, იქ, თურმე, ქალები დაფრინავენ, ველოსიპედები დადიან... მეც მიინდა ენახო მოსკოვი და ის დიდი კაცი... მას, თურმე, უყვარს ახალგაზრდობა. მე ის მასწავლის თავის სკოლაში აეროპლანით ფრენას და საზღვარზე დარაჯად ვიქნები. იაპონელები ან სხვა ვინმე შტერი თუ მოგვიახლოვდა, განგაშს აეტეხს...

— ლაო-ჩენ, შეილო ჩემო, სად ხარ? — მოისმა ამ დროს ბაი-დე-ლის აჩქარებული ხმა. ლაო-ჩენ სწრაფად მოტრიალდა. მისკენ გაჩქარებით მოდიოდა დედა. ტანზე შავი შარვალი და ლურჯი ხალათი ეცვა. თავზე მრგვალი, ფართე ქილობის ქუდის მაგიერ თეთრი მოსახვევი ჰქონდა გადაკრული.

— ლაო-ჩენ, ჩემო ბიჭიკო, მე ომში მივდივარ, იქ ბევრი დაჭრილი ყოფილა და მოვლა და გამხსნევება საჭირო. შენ იცი, სადაც არიან პარტიზანები... ოჰ, თოფები, თოფები და ვახანები არა აქვთ... ლაო-ჩენ, ჩემო შეილო, მოხუცს მოუარე. ბრინჯი არის, პური... სადილი მზად



საქართველო  
შენაწილობა

არის, გაშლილია, მაგრამ მე აღარ მცალია, თქვენ ჭამეთ... იქ მიცდიან... — და პასუხსაც აღარ დაუცადა, გაიქცა წვრილი ნაბიჯით, თითქოს კი არ მირბოდა, მიხტოდა.

ბავშვები კარგახანს იდგნენ და უცქეროდნენ, როგორ გამოვიდნენ მეზობელი სახლებიდან სხვა ქალებიც და როგორი სისწრაფით მიფაცხავდნენ სოფლის გზაზე, როგორ გავიდნენ ხილზე, ავიდნენ გორაკზე და თვალს მიეფარნენ.

უცებ ბავშვები გააყრუა აეროპლანების ხმაურმა. აიხედნენ და დაინახეს, რომ ფრთაგაშლილ აეროპლანებს მისდევდნენ პლანერები... აეროპლანებმა მწყობრად გაიზუზუნეს მათ სოფელზე. პლანერიდან რაღაც გადმოვარდა და მაშინვე მეხივით გავარდა. სერზე შეფენილ ჩაის ტერასებს დაეცა და ერთ წუთს ყველაფერი გაანადგურა. საღდაც ახლოს გაისმა შაშხანების ტკაცანი და ცაცხარები აკაკანდა ტყვიამფრქვევი.

— ააჰ, — გაისმა ქალების კივილი და ბავშვების ტირილი.

— სიო-ხო, სიო-ხო! — გაისმა ქალის ხმა.

— დედაა, — თქვა სიო-ხომ და გაიქცა ძახილზე.

ლაო-ჩენ კარგახანს იდგა ერთ ადგილას, ის თითქოს ვერ გამორკვეულიყო რა მოხდა. მან მიიხედ-მოიხედა და თვლები ბოსტანზე შეაჩერა. ბოსტანში ყველაფერი

ამოსულიყო და ხარობდა, ბოსტანს იქით პურის ყანაში ტანაყრილი ჯეჯილი ნელა ირხეოდა ნიაზე. ყაყაჩოს კვლები დაწითლებულიყო... მან ოდნავ ამოიხენწეშა და გასწია სახლისაკენ. პაპა ისევ უძრავად იჯდა თავის ქილობზე.

— ოო, პაპავ და უხუცესო, ჩვენი ჩაის ტერასები გაანადგურეს...

— მაგრად იყავი, ჩემო ბიჭიკო, გახსოვდეს, ჩინეთს ვერავინ დაიპყრობს, საბოლოო გამარჯვება ჩვენია...

უცებ მოხდა ლაო-ჩენისათვის გაუგებარი ამბავი. დიდი და პატარა გარბოდა სადღაც: ბებრები, ქალები, ბავშვები ბარგით, ყვირილითა და ტირილით.

(გაგრძელება იქნება)

ერთი მოხუცი შეჩერდა ლაო-ჩენის პაპასთან.

— პურან-დას, არ მოდიხარ? იკაბუნენ...  
ლები მოდიან, დაგვბოცავენ, ყველას გვაწვალებენ.

— ოჰ, მინ-თე-ჩაო, ჩემო კარგო მეზობელო, მე სიარული არ შემძლია და ლაო-ჩენ წაიყვანეთ...

— ლაო-ჩენ, წამოდი ჩქარა! — მოირბინა ამ დროს სიო-ხომ, — ჩქარა წამოიღე შენი ბარგი! — მან ხელში მოჰკიდა ხელი ლაო-ჩენს და გასწია.

— სიო-ხო, ჩქარა! — მოესმა ამ დროს დედის ძახილი და სიო-ხო გაიქცა.

ი. გრიშაშვილი

## ჩვენი განცხადება

ჩვენ გვინდა, რომ სტადიონზე გამოიყოს ცალკე არე, გაშლილი და გაფენილი, მზიანი და მოელვარე.

ჩვენ გვინდა, რომ სტადიონზე გვექონდეს კუთხე უშუალოდ. „დაჯექ, ბიჭო!“ „დაჯექ, გოგო!“ — ხელი არვის შევეშალოთ.

ადგილების სიმცირისას გთხოვთ, აგრეთვე, დაგვრთოთ ნება, რომ შეგვეძლოს ერთ ადგილზე ორი ბალლის მოთავსება.

ფრრ! გაფრინდი, განცხადებაე, და ვინც ჯერ არს, ყურად იღოს: სტადიონზე ბავშვებისთვის ცალკე არე გამოიყოს.



# მამას დავაჯა

ვლიკო დღეს მეტად დალონებულია: მისი მამა მოსკოვში წავიდა. ვლიკო ყველა ოთახის კუთხეებში ეძებს მამას.

— რას ეძებ, ბიჭო, აი აქ არის, შვილო, მამაშენი, — ეუბნება დედა სიცილით, ბავშვს ხელში იყვანს და კედელზე გაკრულ რუკაზე დიდ წერტილს უჩვენებს, თან უმეორებს: აი მოსკოვი... აქ არის შენი მამა.

ვლიკომ დაიხსომა, წარამარა კედელთან აიტუზება და დედას ეხვეწება ამიყვანეო.

დედა აიყვანს ხელში თუ არა, ვლიკო რუკის ცენტრში თვალისთვით გაჰყვითილ დიდ წერტილს პაწია თითს ადებს და იძახის: „აი მოსკოვი, მამა აქ არის... მოდი, მამა, ჩქარა მოდი“. ერთხელ, ამ დაძახების დროს, ბავშვი კიდევ ატირდა, დედამ ტკბილად მიუაღერსა, უამრავი სათამაშო გამოუღადა და თვითონაც გვერდზე მიუჯდა.

აი სპილო. დიდი ხორთუმი აქვს, ნაცრისფერია, უზარმაზარი. ვლიკო ზურგზე მოახტა და ეუბნება:

— აბა, ჩქარა, ჩქარა წამიყვანე მოსკოვში, ჩემი მამა მოვიყვანოთო. მერე ავტოზე გადმოჯდა და ყვირის:

— მოსკოვ, მოსკოვ!!

ავტოზე ჯდომაზე მალე მოეწყინა და ახლა თავის საყვარელ მატარებელს წამოაველო ხელი. ფერადი ვაგონები ერთმანეთს გადააბა და წინ ორთქლმავალი ჩაუყვნა. ვლიკომ ტუჩები კოხტად წამოიშვირა და მოჰყვა:

— ჩუპ, ჩუპ, ჩუპ!!

ვლიკოს პაწია ხელები შეკუმშული აქვს და ორთქლმავლის თვალეების ტრიანლს აჯავრებს.

ამ მატარებელს პირდაპირ მოსკოვში მიარბენინებს. იქამდის აღარც მანძილია

და აღარც სადგურები არსებობენ, ერთს დაიყვირებს ვლიკო: კუკუუუ... და მოსკოვიც იქვეა.

ამ თამაშობით იყო გართული ვლიკო, რომ უცებ სასადილო ოთახის კარი ფხაქუნით გაიღო და მისმა პატარა თეთრმა ძაღლმა თავისი ლეკვი ნანადირევი ხოხობივით პირით შემოიტანა.

ლეკვი იმ ხანებში ვლიკოს დედამ მეზობელს აჩუქა, ორი ძაღლი არ მინდა, ეს თქვენ გაზარდეთო. როცა ვლიკომ ლეკვი მოიკითხა, დედამ უპასუხა:

— გარეთ გავიდა, შვილო, და დაიკარგაო.

ძაღლმა რომ ახლა ლეკვი სახლში შემოიყვანა, ბავშვი გაოცდა.

— უი, ამ შეჩვენებულს მიუგნია და მოუტანიაო, — ღიმილით წარმოთქვა ვლიკოს დედამ და ძაღლს თავის ქნევიით



საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭო

ყურება დაუწყო. ძაღლმა ლეკვი კუნჭულში დასვა, თვითონაც ხელად გვერდზე მოუწვა და ძუძუს წოვება დაუწყო.

თან მთელი სხეულით თრთოლა და ვალიკოს დედას ისეთი თვალგებით შესცქეროდა, თითქოს ეხვეწებოდა: შენი ჭირიმე, ჩემი შვილია და ნურაფერს ერჩიო. ცოტა ხნის შემდეგ დედა გავიდა მეორე ოთახში საუბნის მოსამზადებლად.

ვალიკო ფიცხლავ წამოდგა, საწოლქვეშ შეძვრა და დაიმალა.

დედა რომ შემოტრიალდა და ბავშვი იქარ დაუხედა, დაუძახა, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

— სადა ხარ, ბიკო ვალიკო! — გაოცებით იკითხა ხელმეორედ დედამ და ისე იხედავდა სასადილო ოთახში უნდა გა-

ტრიალებულიყო, რომ ვალიკოს დაღლილ წამოხტა და საწოლისაკენ კუდის ქნევით გაემართა.

— წადი აქედან, წადი, შენ აკი შენი შვილი იპოვნე! — გაჯავრდა ვალიკო.

ბავშვის ხმის გაგონებაზე დედას სიცილი აუტყდა, დიკუზა და საწოლის ქვეშ შეიხედა.

— სადა ხარ, ბიკო! რას მემალეები, შენ გენაცვალე, რომ ხმასაც კი არ იღებ?

— სუ, დედიკო, სუ! წადი შენც აქედან. მამას დავემალე. ახლა გაიგებს, რომ დავიკარგე, მალე მოვა და მიპოვნისო, — ეხვეწებოდა ვალიკო დედას და საწოლის ქვეშ უფრო ღრმად ძვრებოდა — არავინ დამინახოსო.

ბიოგრაფიული

# ჩვენო ჩუპო პოპაგევი

(მასპროზტი)

დამაბურებულ პედაგოგს,  
ბავშვების საყვარელ პოეტს  
ილია სიხარულიძეს.

ძმაო, მთელი სიკბაბუკით,  
ათეული წლოებით,  
შენ შეგქონდა სწავლის შუქი,  
ბავშვთა აზრის მწრთობი.

და ამ ცოდნის შუქით წვრთნიდი  
გმირულ ჩვენს თაობებს,  
ქვეყანას რომ უგზავნიდი  
კადრებს მჯობნზე-მჯობნებს.

შენ ბავშვების სათუთ გულშიც  
ბუღობ, ვით ბულბული,  
და ხელჩართულ მათ ფერხულში  
უვლი კრიმანკულით.

ჩვენო ჩუპო მოამაგვე,  
დღეს ქუღბედნიერო,  
ჩემს ბაგეზე მსურს ეგ ბაგე  
კოცნით გადმოვწერო...



# თრითვილა

(ნამდვილი ამბავი)

ივლისის ცხელი დღე იდგა. შორიქნის მინდორს აღმური ასდიოდა. კოლმეურნეებს უზარმაზარი ჩარდახები დაემართათ და ჩრდილში ისვენებდნენ. მტერიან გზაზე, წყლის ცარიელი კასრით, ფურგონი მირახრახებდა, რომ კოლმეურნეთათვის ცივი წყალი გადმოეტანა.

შაქროს თავი თეთრი ხილაბანდითა ჰქონდა შეკრული, ნელი ხმით ღიღინებდა და შოლტის მსუბუქი ქნევით აჩქარებდა მოვლილსა და ნაპატივებ ცხენებს. უეცრად შაქრომ რაღაცას მოჰკრა თვალი. ღიღინი შეწყვიტა, ცხენები გააჩერა და პატარა ბიჭს დააკვირდა, გზის პირას რომ იდგა და ნაღვლიანი თვალებით გამოიყურებოდა.

— ვისი ხარ, ბიჭო? აქ რას აკეთებ?

— ობოლი ვარ! — ცრემლნარევი ხმით მიუგო პატარა ბიჭმა და დედამიწას ჩახჩერდა.

— ობოლი?! — გაიკვირვა შაქრომ, — მერე და აქ საიდან გაჩნდი?


— გალმა ვიყავი ბიძასთან და გამოვადლო, შენ ჩემი ძმისწული არა ხარ, ვეღარ შეგინახავო. ეხლა იქიდან მოვდივარ.

— ამ სიციხეულას, ისიც ფეხშიშველა და უქულო? — თითქმის თავისთვისა თქვა შაქრომ და ბავშვს მიუტრიალდა: ამოდი, ფურგონზე დაჯექი!

ბავშვი ხმამაღულდებლივ მოებლაუქა ფურგონის ფიცრებს და აფოფხბდა.

პატარა ობოლს შავი, აბურძგენილი თმა ჰქონდა. ჭუჭყიანსა და უქმელობისაგან გაფითრებულ სახეს თავისებური სილამაზე კიდევ შერჩნოდა, საიდანაც კუნაპეტვით შავი თვალები ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ. ფეხზე არაფერი ეცვა და ბევრი სიარულისაგან ფეხის თითები დახეთქილი ჰქონდა. ტანზე მამაკაცის დიდი ხალათი ჰქონდა შემოცმული, რომელიც მას სასაცილო შეხედულულებას აძლევდა.

შაქრო და პატარა ბიჭი ერთხანს ჩუმად იყვნენ და ერთმანეთს ათვალიერებ-



დნენ. ბოლოს სიჩუმე ისევ შაქრომ და არღვია.

— რა გქვიან?

— რა ვიცი! ზოგი გიორგას მეძახის, ზოგი ალექსას და ზოგი კიდევ რას.

— დედ-მამა არ გახსოვს?

— არა, — იყო მოკლე პასუხი.

— რამდენი წლისა ხარ? — არ ვშეგ-ბოდა შაქრო.

— შეიღისა თუ რვისა, კარგად არ ვი-ცი.

— ჰური არ გშიან? — შეეკითხა ცო-ტახნის სიჩუმის შემდეგ შაქრო და პასუ-ხი რომ ვერ მიიღო, თვითონვე დაუმა-ტა: რასაკვირველია, გეშვიება. აი, მე ათი შენოდენა ვიქნები და მაინცა მშიან, შენ რალა ხარ!

ბავშვს ნაღვლიანად გაეღიმა, შაქრომ კი ხურჯინს პირი მოხსნა, გამტკიცული შოთი და ცხვრის მსუქანი ყველი ამოი-ღო, ფურგონზე სახელდახელი სუფრა გაშალა და ობოლთან ერთად მდიანად შეექცა გემრიელ საჭმელს.

ობოლს ეტყობოდა, რომ დიდხნის მშვიერი უნდა ყოფილიყო. პატარა ხელე-ბი უკანკალებდა და დიდრონ ლუქებს ყლაპავდა. შაქრო ათვალეერებდა ამ უბედურ ბავშვს და მისი სიბრალოლით იტანჯებოდა.

— მაშ რადგან შენთვის ყველას სხვადა-სხვანაირი სახელი უძახნია, — დაარღვია სიჩუმე შაქრომ, — მე კიდე თრითვილას დაგიძახებ, რადგან მართლაც მინდორ-ში თრითვილიწამოყალიბილივით გიპოვნე, გინდა?



— შენი ნებაა! — დიდი კაცის ტონით უპასუხა პატარამ.

ამასობაში წყალთანაც მივიდნენ, კას-რი ცივი წყლით აავსეს, შაქრომ ფურგო-ნი მოაბრუნა და ბავშვს მიუტრიალდა.

— აქ სათვისაო არავინა გყავს?

— არა! — იყო მოკლე პასუხი.

— მაშ ეხლა საით აპირებ წასვლას?

— რა ვიცი! — ნაღვლიანი ხმით მიუგო პატარამ.

— ამოდი ისევ ფურგონზე, სადაც მე წავალ, შენც იქ წამოდი და ერთად ვი-ცხოვროთ.

თავჩაღუნული ბავშვი უძრავად იდგა და ხმას არ იღებდა.

— ამოდი, ამოდი, — აჩქარებდა შაქ-რო, — შენ მე დამიჯერე და არაფერში არ იხარალებ.

პატარა ობოლი ფურგონზე ისევე უხმოდ ავიდა და დაჯდა, როგორც პირ-ველად. შაქრომ აღვირის ტოტები აკ-რიფა, დასვენებულ ცხენებს შოლტი მოუქნია და ჩქარი ჩოროთით მინდვრის გზას გაუყენა...

ტიქებითა და ჯამებით შეიარაღებუ-ლი კოლმეურნეები ახლად მოტანილ ცივ წყალს შემოეხვიენენ და ფურგონზე მოკუნტული პატარა ბიჭი რომ დაინა-ხეს, ყველა ცნობისმოყვარეობამ აიტანა.

— ბიქოს, ეს საიდან გაჩენილა აქ! ვისი ხარ, ბიჭო? — ეკითხებოდნენ დაინ-ტერესებული კოლმეურნეები.

— ობოლი ვარ...

— ობოლი? — უკვირდა ყველას.

ბოლოს დაინტერესებულ კოლმეურ-ნეებს შაქრომ ყველაფერი უამბო და ბა-ვშვის სახელი — თრითვილაც დაასახელა.

ყველა დაფიქრდა და ცდილობდა რაი-მე საშუალება გამოენახა, რომ პატარა ობოლისათვის როგორმე ეშველა.

ბოლოს სიჩუმე ერთმა კოლმეურნემ დაარღვია:

— ბიჭებო, მოდით, ვიშვილოთ ეს პატარა! ერთი ბავშვის გაზრდა ჩვენ არა-ფერს დაგვაკლებს და სამადლო საქმეს კი გავაკეთებთ. ეს ბიჭი ქალებს ჩავაბა-როთ, ვასწავლოთ, ჩავაცვათ, დავახუ-როთ და კაცი გამოვიყვანოთ. მერე კი,

როცა გამოიზრდება, თავისთავსაც არ-  
გებს და ჩვენს ქვეყანასაც გამოადგება.

— ვიშვილოთ, ვიშვილოთ! — აფუგუნ-  
დნენ კოლმეურნეები და პატარა ობ-  
ლის ბედიც უტბად გადაწყდა.

## II

თრითვილა კოლმეურნე ქალებს ჩაა-  
ბარეს, რომლებმაც პატარა ობოლი  
გულთბილად მიიღეს და მისი მოვლის  
თადარიგს შეუდგნენ.

გამგეობამ ოთხი კილო მატყლი და  
საკმაო თანხა გადადო თრითვილასათვის  
ლოგინისა და ტანსაცმელის შესაკრად.  
ამუშავდნენ ქალები და აძიძიგდა საკე-  
რაფი მანქანები. ზოგი საცვლებსა კერა-  
ვდა, ზოგი შარვალ-ხალათს და ზოგიც  
ნაალისა და საბნის პირებს ამზადებდა.  
მოშორებით კი სპარსულ ყაიდაზე ამო-  
კეცილი მაშო-ბებია გრძელი სახრით  
მატყულსა პენტავდა და თან თავისთვის  
მოთქვამდა:

— საწყალი პატარა... უი... უი... თვა-  
ლი დაუდგეს მაგის მშობლებს, რომ ამ  
პატარას დარდი გაპყვებოდით, — წუწუ-  
ნებდა გულწივილი მოხუცი და ჩუმად  
იცრემლდებოდა.

უზარმაზარ ქებაში კი წყალი ცხელ-  
დებოდა, რომ თრითვილა გაგბანათ და  
დაბადებიდან გამოყოლილი ქუქყი გაე-  
ყრევიზინებინათ.

თითქმის ყველაფერი მზად იყო. თრი-  
თვილა მოძებნეს და შემოეხვივნენ.

— წამოდი, გენაცვალე, გაიხადე,  
უნდა გაგბანოთ, — ეხვეწებოდნენ ქალები,  
მაგრამ თრითვილა თავს აქეთ-იქით  
აქნევდა და კუთხეში იბუზებოდა.

— არ გავიბანები, ძალუა! არ გავი-  
ბანები! — ბუზღუნებდა ობოლი.

— რატომ, ბიჭო! მაშ ქუქყიან ტან-  
ზე ჩავაცვათ ახალი საცვლები? — არ ეშ-  
ვებოდნენ ქალები.

— დიკარგეთ აქედან! — დაჰკივლა  
ახალგაზრდა ქალებს მაშო-ბებია. — ვერა  
ხედავთ, რომ ბავშვსა სცხვენია?

სცხვენიაო! ქალებს ამის გაგონება-  
ლა უნდოდათ, დასტაცეს ხელი თრითვი-  
ლას და თითქმის ძალით გააძრეს ტან-  
საცმელი.

მერე კი აჩხავლებული ბავშვი წყლით  
სავსე გობში ჩასვეს და ისე გახეხეს, რომ  
მოკალულს დაამსგავსეს.

ცოტახნის შემდეგ კი ახალი ტანსაც-  
მელითა და ფეხსაცმელებით დამშვენე-  
ბული თრითვილა ციკანივით დააბაკუნებ-  
და კოლმეურნეობის კანტორის აივანზე.

## III

დრო მიდიოდა. თრითვილა ყოჩა-  
ღი და მოწადინებული ბავშვი გამოდგა.  
მოანგარიშემ ქართულის სწავლება და-  
აწყებინა და ხშირად ნახავდით ბაღში  
გულაღმა გაწოლილ თრითვილას, რო-  
მელიც ანაზის ოხვირებდა:

— აი ია... აი თათი, თითი, — მხამაღლა  
იძახოდა ბავშვი და თან ცაში ღრუბლე-  
ბის მოძრაობას აკვირდებოდა.

გარდა ანაზისა, თრითვილას სხვა  
საქმეც ევალა — ეს იყო მეცხვარეობა.  
სულ სამად სამი კოჭლი ხაშალი ცხვარი  
ებარა მას, მაგრამ თავი ფერმის გამგედ  
ჰქონდა წარმოდგენილი და ყოველთვის  
ერთი ამბითა და წივილ-კივილით მიდე-  
ნიდა ცხვრებს მახლობელი სერებისაკენ.

თრითვილას თავისეური ფანტაზია-  
ცა ჰქონდა და უყვარდა თავისთავზე რაი-  
მე გმირული ამბების გამოგონება.

ერთხელ თითი დიდი ნაჭრით შე-  
ეხვია და მოღუშული სახით მიუახლოვ-  
და კოლმეურნეობის კანტორის ეზოში  
მსხდომ ქალებს.



— ეთერი ძალო! უყურე, თითი გავიფუჭე! — მიმართა მან ახალგაზრდა ქალს და ხელი გაუშვირა.

— სადა, გენაცვალე, სად გავიფუჭე? — მზრუნველობით უთხრა ქალმა და შეხვეულ თითს სხნა დაუწყო.

— ბედასლად, წყალთან გადაშლართულს დამძინებოდა და იმ ვერანმა ტრაქტორმა ზედ თითზე გადაშირა.

— უი, დამიდგეს თვალები! — ეშმაკურად ეუბნებოდა ეთერი პატარა მკვებარას და თან თითს, რომელიც სადღაც ჩირგვზე გაეფხაჰნა, სუფთა ბინტით უხვევდა. — მუცელზე რომ გადაველო, მაშინ რაღა უნდა ვეთქვა!

— შენ ეგა თქვი და, მაშინ რაღა უნდა მეთქვა! — დინჯი ტონით ეთანხმებოდა თრითვილა და იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ მის გარშემო მოგროვილი ქალები სიცილს ძლივს იკავებდნენ.

დრო გავიდა... თორმეტმა წელმა თორმეტ კვირასავით გაირბინა. კოლმეურნეობები გამოგრდა და გაძლიერდა. მკვებარეები კოლმეურნეები კულტურულ ცხოვრებას დაეწაფნენ და, საამურ ყოფაში მოქცეულნი, ბედნიერად ატარებდნენ სიცოცხლის დღეებს.

ახალმა ცხოვრებამ მრავალი საუკეთესო შვილი გამოზარდა და ისინი ჩვენს ქვეყანას საუკეთესო ინჟინრებად, აგრონომებად და ექიმებად დაუგზავნა.

თრითვილა?

თრითვილა დღეს 19 წლის ვაჟაკია, იგი კომკავშირის ნიშანსა და წითელარმიელის სახელს სიამაყით დაატარებს და ფიცსა დებს, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდის იბრძოლებს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრისა და ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის.

## თ. შანშიაშვილი

# კვლევა სავა

30 აპრილს გაიხსნა ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენა. ამ დღეს აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, ზოგი წინაღობით მოვიდა გამოფენის ადგილას და შესასვლელთან გაათია ღამე, რათა მეორე დღეს ყველაზე პირველად შესულიყო მსოფლიოს მიღწევათა დასათვალიერებლად.

გამოფენაში მონაწილეობას იღებს სამოცი სახელმწიფო.

მათ შორის მხოლოდ 22 სახელმწიფომ ააშენა დამოუკიდებელი პავილიონი, დანარჩენები კი წარმოდგენილი არიან „ეროვნებათა სასახლეში“. გამოფენის მშენებლობის პერიოდში ორმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ შეწყვიტა საკუთარი პავილიონის აგება — ეს სახელმწიფოებია

ჩეხოსლოვაკია და ალბანეთი. ჩეხოსლოვაკიის პავილიონი საბჭოთა კავშირის პავილიონის გვერდით შენდებოდა. იგი ნახევრად აგებული იყო, როდესაც მუშაობა შეჩერდა. მასზე ახლაც ფრიალებს ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროშა...

საბჭოთა კავშირის პავილიონის შენობა, როგორც ამას ამერიკული გაზეთებიც წერენ, ერთერთი შესანიშნავი და გრანდიოზული შენობაა. იგი გამოირჩევა სხვა სახელმწიფოთა შენობებისაგან მკვიდრი ნაგებობითა და უბადლო სილამაზით.

საბჭოთა პავილიონს სულ 12000 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს. შენობა ნახევარწრის ფორმისაა და სამი სართულისაგან შედგება. შენობის შუაგულ-

ში აღმართულია წითელი მარმარილო-თი ნაგები, 20 სართულის სიმაღლის ობედისკი. ობედისკზე მყარად დგას დაუქან-გავი ფოლადისაგან ჩამოსხმული კუნთებ-მაგარი მუშის ფიგურა, რომელსაც ზე-ვით აწვდილ ხელში ლალის ვარსკვლავი უჭირავს. საღამოობით ეს ვარსკვლავი ინთება და საბჭოთა პავლიონს ლალის ფერში ახვევს.

გამოფენის მიზანია აჩვენოს კაცობ-რიობას „ქვეყანა ხვალ“, თუ რა მიღწე-ვები აქვს თითოეულ სახელმწიფოს და როგორი იქნება იგი მომავალში, მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ სო-ციალიზმის ქვეყნის გამოფენამ შეძლო. ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შეეშინდა ეჩვენებინა ხვალინდელი ქვეყანა და ცივი უარი განაცხადა გამოფენაში მო-ნაწილეობის მიღებაზე. ფაშისტურმა გერ-მანიამ უარი თქვა ეჩვენებინა „გერმანია ხვალ“. თავისი უარი ფაშისტმა მესვეუ-რებმა იმით „დაასაბუთეს“, რომ ჩვენ ამდენი ხარჯები არ შეგვიძლია გავწიოთო. გერმანიას არ სურს უჩვენოს „ქვეყანა ხვალ“, რად-გან ხვალინდელი ქვეყანა მას დალუპავს უქადის.


დანარჩენმა კაპიტალისტურ-მა სახელმწიფოებმაც გამოფე-ნის მთავარი თემის „ქვეყანა ხვალ“-ის გადაწყვეტა ტექნიკის ხარჯზე მოისურვეს და უხვად წარმოადგინეს თავისი მიღწევე-ბი ამ დარგში.

მაგალითად, ერთერთმა ფირ-

მამ სხვა ტექნიკურ მიღწევებთან ერთად წარმოადგინა მექანიკური ადამიანები, რომელნიც ლაპარაკობენ, მღერავენ, ვაძა-როსს ეწევიან და მოძრაობენ. ერთი მექა-ნიკური ადამიანი ათამდის ითვისის თი-თებზე და შეუძლია რევოლვრის სროლა მიზანში. რამდენიმე მექანიკური ადამი-ანი ღინჯად დადის გამოფენაზე წარმოდგე-ნილ ექსპონატებს შორის, მნახველებს აძლევს ახსნა-განმარტებას და დაზვიანებ-ბული სიტყვებით ხმაილდა აქებს თა-ვიანთი ფირმის საქონელს.

საბჭოთა პავლიონის პირველ სარ-თულზე, შესასვლელში, მოჩანს ფართე ტილო ჩვენი ქვეყნის ცნობილი ადამი-ანების პორტრეტებით.

მარჯვნივ მოთავსებულია ჩვენი სამ-შობლოს გრანდიოზული რუკა. ეს რუკა არაჩვეულებრივია, მასზე ხაზებითა და წერტილებით კი არაა ნაჩვენები ჩვენი ქალაქები და მდინარეები, არამედ ფე-რადი ძვირფასი ქვებით, მაგალითად: პო-ლუსიდან სამხრეთ დასავლეთით ჩარიგებულია ძვირფასი კრისტა-ლები, რომელნიც აჩვენებენ პაპა-ნინის გმირული ექსპედიციის გზას. ამავე დარბაზშია ნაჩვენები ჩვენი ქვეყნის წარსულის ამსახველი სუ-რათები, 1905 წ. 9 იანვარი—სისხლი-ანი კვირა, 1917 წ. ლენინის ჩამო-სვლა პეტერბურგში და სხვა. აქვეა საბჭოების სასახლის მშენებლობის, დეპროკჰსისა და მეტროს სადგუ-რების მაკეტები. ნაჩვენებია ჩვენი მუშების დასასვენებელი სახლების,



კულტურული გასართობებისა და ბიბლიოთეკების ნიმუშები.

მეორე სართული განკუთვნილია საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა დემონსტრაციისათვის. აქაა ნაჩვენები თეატრალური დადგმების მაკეტები, ნახატები, ხალხთა შემოქმედების ნიმუშები და ჩვენი მეცნიერების მიღწევები. ამერიკელების ყურადღებას იპყრობს საბჭოთა მოსახლეობის განათლების სწრაფი ზრდა, წიგნის კულტურა და ხალხური შემოქმედების აღმავლობა.

მესამე სართულზე მოთავსებულია ენო და რესტორანი. კინოში უჩვენებენ საუკეთესო საბჭოთა ფილმებს, რომლებსაც დიდი წარმატება აქვთ.

საბჭოთა პავილიონს აუარებელი მნახველი ეტანება და ყველა განცვიფრებულია მისი სიღიადითა და სილამაზით. ყველა ამერიკული გაზეთი აღტაცებით წერს საბჭოთა პავილიონის სიმშვენიერზე.

გრიპორ სანხლადე



გაიღვიძეს მამლებმა,  
იძახიან: „ყიყლიყო!“  
ადექ, სირცხვილი არის  
ახლა ზეზე არ იყო!

შკვე გათენებულა,  
კაკანებენ ქათმები,  
დაიბანენ ხელ-პირი,  
დაივარცხნენ ეგ თმები.

ბაღში ვარდი გაშლილა,  
— რა ლამაზი ვარდია!  
ამბობს: „მისი ვიქნები,  
ვინც ყველაზე მარდია,

ვისაც გამოღვიძებას  
ვერ ასწრებენ ქათმები,  
ხელ-პირდაბანილია,  
დავარცხნილი აქვს თმები!“



# ჩვენი გზა

რა ბიჭია ჩვენი გუგა!  
რომ იცოდეთ, რა ბიჭია!  
მისი ენის მობრუნება  
სიხარულის ნაბიჯია!

დილით, როცა ლოგინიდან  
აფრინდება უცხო ჩიტად,  
ხან დედის გულს ჩაეკვრის და  
ხან დეიდას მარგალიტად.

გინდ თოვდეს და გინდ ყინავდეს,  
მანც მოიგახაფხულებს  
და პერანგის მხოლოდ ამარ  
სად რაც უყვარს, ინახულებს.

ვით დილის მზის თვალის ცქერა,  
ჯერ მთელ ოჯახს მოჰფენს ხალისს,  
შემდეგ ყველას უწინარეს  
სალამს უძღვნის ძია სტალინს.

გადაფურცლავს „ოქტომბრელსაც“,  
როცა მოიხელდახელებს,  
შემდეგ მერანს მოახტება, —  
ცოტას წაიტარიელებს...



როცა გუგა რუსთაველზე  
მიჰყავთ ხელის ჩაკიდებით,  
ის ყველაფერს თვალს ადევნებს  
თავისებურ დაკვირვებით.

აგერ ბავშვი მოჰყავთ ეტლით,  
ნაბიჯით და რწია-რწია,  
აგერ — სათამაშოები,  
ერთმანეთს რომ აჰკინძია,

აქ ვილაცამ ჩაუარა  
გუგა ჰყვირის, ჰუბე, ჰუბე! —  
იმ უცნობმა ვაშლის ჩირით  
სულ აუვსო კალთა — უბე.

და საჩუქარ აკრებილი  
დაბრუნდება შინ ყოველთვის,  
ბედნიერი თაობის შვილს  
სიხარული ყველგან ერთვის.

ვისთანაც და სადაც იყოს,  
ვერსად ნახავთ მას მომღურავს:  
დილით, მცირით იგი სიტკბოს  
და აღერსის ზღვაში ცურავს.





# ყურძნის წვენი საიდუმლოება



რა კარგია სოფელი შემოდგომაზე! უცნაურ ფერებად აჭრებულ ფოთლებში მოჩანს მწიფე ვაშლი და ფორთოხალი, ბროწეული და ლეღვი, ზღმარტლი და წაბლი... ჯარისკაცებივით და რაზმული ვაზები უზომოდ დატვირთულან ბროლივით გამჭვირვალე მტევნებით.

კოლექტიური სოფელი ხარობს, მღერის, იცინის... აგერ, უზარმაზარ ვაშლის ხეებს კენწეროში მოქცევიან და ლოყაწითელი ვაშლებით სავსე კალათებს ძირს უშვებენ. იქით ვენახებს შესევია დიდი და პატარა. ავტოებიტა და ურმებით ეზიდებიან ყურძენს მარნებისაკენ, სადაც თავლივით ტპილი ყურძნის წვენი ივსება ჭურები და კასრები. ამიტომ უყვარს სოფელი პატარა ილოს. შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ის მატარებლით მიქროდა სოფლისაკენ. გული მოუთმენლად უცემდა, როდესაც მწიფე ხეხილით სავსე ბალებს უტყერდა ვაგონიდან. განსაკუთრებით ყურძნის მტერია ილო. სოფელში მისვლისთანავე მან პირველად ვენახს მიაშურა. ილო რამდენიმე დღე დარჩა სოფელში. ბევრი სიხარული ნახა მან ამ ხნის განმავლობაში. დადგა ქალაქში დაბრუნების დღე. ილო გულდაწყვეტილი გამოეთხოვა საყვარელ ბებოს და შევიდა მატარებელში.

აგერ თბილისიცი... სიხარულით მიქრის ილო ნაცნობ ჭურებში. მიაქვს ხილით დატვირთული კალათა და ყურ-

ძნის წვენი სავსე კოკა. მშობლებმა სიხარულით გადაკოცნეს საყვარელი ბიჭიკო. მშვიდად ეძინა იმ დამეს ილოს. დილით ჩვეულებისამებრ ადრე ადგა, ხელპირი დაიბანა. ცოტახნის შემდეგ ჭიქა გამოილო კარადიდან და სამზარეულოსაკენ გაეშურა, სადაც ყურძნის წვენი სავსე კოკა ეგულვებოდა. ილო გაშტერდა, როდესაც საცობმოხდილი კოკა დაინახა, რომელსაც თავზე მოყვითალო ქაფი გადმოსდიოდა და იატაკზე ყურძნის წვენი იღვრებოდა. განცვიფრებულმა ილომ ჭიქაში გადმოსახს ყურძნის წვენი, ცოტაოდენი მოსვა და არასასიამოვნო გემო იგრძნო. შემდეგ უყნოსა — ცხვირში რაღაცამ შეუღიტინა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. ილო დაატყერდა კოკას და შეამჩნია, რომ ყურძნის წვენი ღულდა და პაწაწინა შეხეფებს ისროდა.

ილომ შეირბინა ოთახში და მშობლებს უამბო ყურძნის წვენი ამბავი. მამას გაეცინა, განცვიფრებულ ილოს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა, რომ აქ არავითარ სასწაულს არა აქვს ადგილი და ყურძნის წვენში ასეთი ცვლილება გამოწვეულია თვალთ უხილავი პაწაწინა არსებებით.

— ნუთუ, თვალთ უხილავ რაღაც პაწაწინა არსებებს შეუძლიათ ასე შეცვალონ ყურძნის წვენი? — განცვიფრებული შეეკითხა ილო მამას.

— ოო, მათ ბევრი რამ შეუძლიათ.

ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში იწვევენ ყურძნის წვენი თ სავსე ვეებერთელა ჭურებისა და კასრების დადუღებას.

მამის ნათქვამმა ჩააფიქრა ილო, შემდეგ კი ისევ შეეკითხა:

— საიდან იცი, მამიკო, მაგის შესახებ?

— ეს მეცნიერებმა დაამტკიცეს, შვილო!

— კი, მაგრამ საიდან ნახეს მეცნიერებმა ასეთი თვალით უხილავი არსებები? — ისევ შეეკითხა ილო.

— არის ისეთი ზელსაწყო, რომელიც ძლიერ აღიღებს უმცირეს ნაწილაკებს. მას მიკროსკოპი ჰქვია. მისი შემწვობით შესძლეს მეცნიერებმა თვალთ უხილავი არსებების — მიკრობების აღმოჩენა და მათი ცხოვრების პირობების შესწავლა.

— მამიკო, სად არის მიკროსკოპი?

— მიკროსკოპი ყოველ სკოლას აქვს. აგრეთვე ყველას შეუძლია მისი ყიდვა.

— მიყიდე, მამიკო, მიკროსკოპი. ძლიერ მსურს მიკრობების ნახვა, — შეებვეწა ილო მამას.

— კარგი, დღეს მოგიტან და გიჩვენებ იმ პაწაწინა არსებებს; რომლებმაც შენი ყურძნის წვენი ასე შეცვალეს, — დაპირდა მამა ილოს.

მთელი დღე მოუთმენლად ელოდა ილო მამის მოსვლას, კოკას არ შორდებოდა და გაშტერებული უტყქროდა მოფუფუხე ტკბილს. რამდენიმეჯერ ჭიქაშიაც გადმოასხა, დიდხანს ათვალიერა, ეძებდა უცნაურ მიკრობებს, მაგრამ ვერაფერი დაინახა, გარდა უბრალო სიმღვრივისა. ნაშუადღევს მამა მოვიდა, მოიტანა მიკროსკოპი, მინის რამდენიმე ნაჭერი, სპირტის ნათურა და მინის პატარა ჯოხზე დაგებული წვრილი მავთული, რომელსაც თბოლოზე პატარა ყულფი ჰქონდა გაკეთებული. მავთული რამდენიმეჯერ გაატარა მამამ ნათურის ალში. მავთულის ყულფით აიღო ყურძნის წვენის წვეთი, რომელიც მინის ნაჭერზე მოათავსა და ზემოდან მინისავე თხელი ნაჭერი დაფარა. შემდეგ მინის ნაჭერი მოათავსა მიკროსკოპის მაგიდაზე, ხრახნით ამოძრავა მიკროსკოპის ფეხზე მიმაგრე-



ბული მილი, რომელშიაც დაკვირვებით იტყირებოდა. როდესაც ნათლად გამოისახნენ მიკრობები, მამა მიუბრუნდა ილოს და ღიმილით უთხრა:

— აბა, მოიღ, ნახე, შენი ყურძნის წვენის მტრები.

ილო, რომელიც ვაფაციცებით აღევნებდა თვალს მამის ყოველ მოძრაობას, უცებ შეხტა სკამზე, ჩაიხედა მიკროსკოპის მიღში და მის თვალწინ გადაიშალა სხვადასხვა მოყვანილობის საკმაოდ მოზრდილი არსებები, რომელნიც უძრავად იყვნენ. ზოგ მათგანს კვერცხის მოყვანილობა ჰქონდა, ზოგიც ძეხვივით იყო დაგრძელებული, ზოგან ერთმანეთზე გადაბმულიყო რამდენიმე მიკრობი.


— ამნაირ მიკრობებს საფუარებს უწოდებენ, ესენი ყურძნის შაქარს სპირტად გარდაქმნიან და ამიტომ ეკარგება ყურძნის წვენს ტკბილი გემო, — განაგრძო ახსნა მამამ, — ბოლოს კი ღვინო მიიღება.

— მაშ, თუ ასეა, როგორღა ინახავენ ყურძნის წვენს? — ჩაერია ლაპარაკში ილოს უფროსი და, პიონერი ნორა.

— ჰო, მართლა, მართლა, — წამოიძახა ილომ, — ყურძნის წვენი ხომ მალაზიებშიაც იყიდება.

— კარგი, რადგან ასე გაინტერესებთ, გიამბობთ, როგორ შეიძლება ყურძნის წვენის უცვლელად შენახვა. თუ ყურძნის წვენში მიკრობებს მოვსპობთ, ის აღარ შეიცვლება და თავის გემოს შეინახავს. ამისათვის წვენი ბოთლში ჩავა-

სხათ, თავზე ბაბბის საცობი დავახუროთ, ზემოდან სუფთა ქაღალდი გავაკრათ. ბოთლი ქვაბში ჩავდგათ, რომელშიაც წამომთბარი წყალია. წყალი საცობამდის არ უნდა სწვდებოდეს და მას არ უნდა ასველებდეს. შემდეგ ქვაბი ცეცხლზე შემოდგათ და წყალი ერთხანს ვაღულოთ. ყურძნის წვენი მიკრობები დაწყდება. მეორე დღესაც ასევე მოვიქცეთ. ბოთლში ახლა დაწყდება შემთხვევით გადარჩენილი მიკრობები. ამნაირად დამზადებულ ტკბილში არავითარი არსებები აღარ არის და ის დიდხანს შეინახება. თუ კი შემდეგ ბოთლს საცობი მოვხადეთ და ერთხანს ისე დავტოვეთ, მასში მტვერთან ერთად ჰაერიდან მიკრობები ჩაცვივდება და სითხე დუღილს დაიწყებს. ამ მიკრობების გარდა არიან ისეთებიც, რომლებიც სხვადასხვა ავადმყოფობას იწვევენ. არიან ისეთი მიკრობებიც, რომლებიც მაწონს გვიზხადებენ, არიან უქოვანი მიკრო-



ბები, რომლებიც ბნელში ანათებენ, არიან სასიამოვნო სუნის მქონე მიკრობები და ისეთებიც, რომლებიც ლბობას იწვევენ და კიდევ სხვა მრავალი. ერთის სიტყვით, მიკრობების სახით აუარებელი მტერი და მოყვარე ჰყავს ადამიანს, მაგრამ მათ შესახებ შემდეგ გიამბობ, ჩემო ბიჭუნა.

ა. ნათელაძე

# მუიზარა მონადირა

ჩვენ გვიკოს ხის თოფი აქვს მხარზე ჩამოკიდებული, სანადიროდ დადის მუღამ, სროლა იცის დიდებული.

აი, ერთხელ, აღრიანად გამოვიდა გივი გარეთ, თოფით მხარზე, დინჯ ნაბიჯით მოიარა არემარე.

უცბად ხედავს: ხის ერთ ტოტზე ჩამოჯდარა შაში იბლად, ნისკარტს ფეხით ისუფთავებს, ემზადება საგალობლად.

ჯერ უყურა შაშვს გვიკომ და მერე კი ძმას შესჩივლა:  
— რომ ეს თოფი ხის არ იყოს, რომ ისროდეს ის ნამდვილად, —

ხომ ვესროდი, ხომ მოვკლავდი, ავაცდენდი მიზანს განა? ნანადირევს ავიღებდი, წავიღებდი სახლში თანა.

ჩამოიხსნა მხრიდან თოფი, დაუმიზნა მინც მშვილად, და რას ხედავს: ტრახ! — გავარდა და მოპვლიჯა შაში ხიდან.

ჩაიკეცა ბიჭმა შიშით, გაემართა ძმისკენ ცოცვით. — ჩემი თოფი, თურმე, ისერის, ჩვენ კი დღემდე არ ვიცოდით... —

წასჩურჩულა ძმას გვიმ და მოიწმინდა ცივი ოფლი... რა იცოდა, რომ ის შაში სულ სხვამ მოჰკლა დიდი თოფით.



ქვეყნად ყოველივე ცხოველი აუცილებლად ერთგვარი თავდაცვითი იარაღით არის შეჭურვილი არსებობისათვის ბრძოლაში. ერთნი ბუნებას ოსტატურად ეხამებოიან და ამგვარად მტრის თვალისათვის უჩინარნი ხდებიან, ანდა სწრაფი გაქცევის უნარით არიან დაჯილდოებულინი. მეორენი ბასრი კბილებით, უჩვეულო დიდი ღონით, ტანით, ანდა კიდევ სქელი ჯავშნის საფარველით არიან შემოსილნი და ასე შემდეგ.


ცხოველები, რომელნიც მოკლებულნი არიან საჭირო თავდაცვით იარაღს, უღმობლად იღუპებიან არსებობისათვის ბრძოლაში. ვინ იცის, რამდენი სახის ფრინველი, თევზი თუ მსხვილი ოთხფეხი აღიგავა ქვეყნიდან მხოლოდ იმიტომ, რომ არ აღმოაჩნდათ საჭირო უნარი ცხოვრებას შეგუებოდნენ. ბევრ მათგანზე დღეს მეცნიერებას მხოლოდ მკრთალი, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს (მაგ. მამონტი — სპილოს მსგავსი ცხოველი, ისტიოზავრი — ვეება, თევზხვლიკის მსგავსი არსება, სიგრძით 13 მეტრი და სხვა). ამ ცხოვე-

ლების დიდი ნაწილი ისე გადაშენდა, რომ მათ შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით.

სულ ახლო ხანში დიდი ოკეანის წყლებში მრავლად ცხოვრობდა ერთგვარი ვეება ცხოველი, რომელსაც ზღვის ძროხას უწოდებდნენ. მათ ეს სახელი შეერქვათ, ერთის მხრივ, ფრიად მშვიდი, უწყინარი ბუნებისა და, მეორის მხრივ, ბალახის ძოვის ჩვეულების გამო. უბედური ზღვის ძროხები სრულიად შეუიარაღებელნი აღმოჩნდნენ ახალი ცხოვრებისათვის. წარსულში ისინი მხოლოდ მტაცებელ ზღვის ცხოველთაგან განიკდიდნენ დევნას. ახალ ხანაში მათ მტრებს მიემატა ისეთი საშიში ქმნილება, როგორც ადამიანია. ადამიანებმა ზღვის ძროხებს მძლავრი ცეცხლისმფრქვეველი იარაღითა და დინამიტებით შეუტრეს.

ზღვის ძროხებმა ველარ გაუძლეს ორმაგ იერიშს და თანდათან გადაშენების გზას დაადგნენ.

ზოოლოგები დღეს ზღვის ძროხების შესახებ მხოლოდ სადმე ყინულებში ჩაფლული, გადარჩენილი მათი ჩონჩხების მიხედვით მსჯელობენ.





# გავმართა შეიქმედა

## ბაშვილი

საყვარელ მასწავლებლებს  
 ჩემი გულის საღამო,  
 თქვენს საქებრად ყოველთვის  
 მე მზადა მაქვს კალამი.

მომეწყინა, რადგანაც  
 სწავლის წელი დასრულდა,  
 მაგრამ თან მიხარია,  
 ნატვრაც რომ ამისრულდა,

მეოთხეში გადაველ  
 ისევ ფრიადოსანი  
 და მე ასე მგონია  
 ჩიტი ვიყო ფრთოსანი.

შევეცდები შემდეგში  
 ვიყო უფრო ფხიზელი  
 თქვენს ამავსაც გადვიხდი,  
 თუ ასე შევიძელი.

აჲ მშვიდობით... სამი თვით  
 სოფლად გამიხარია,  
 ისევ, ისევ თქვენთან ვარ,  
 როცა დაჰკრავს ხარია.

მე-18 სკოლის IV კლასის  
 ფრიადოსანი მოსწავლე მელიქო კანდელაკი.

## შაჩუაძე

ჩვენ ლენინის რწმენა გვქონდეს,  
 შევასრულოთ სიტყვა მისი,  
 რომ ბელადმაც ასე გვითხრას:  
 ყოფილხართო ქების ღირსი.

ჩვენ სამშობლოს სიყვარული  
 შევინახოთ გულში მუდამ,  
 არ დავინდოთ ხალხის მტრები, —  
 ლენინელი მტკიცე უნდა!

ბერიამ თქვა, — მისი სიტყვა  
 გზას გვინათებს, ვით ლამაზარი:  
 „გმირობა და სიმამაცე —  
 ეს „ფრიადზე“ სწავლა არი.

ჩვენც ფიცს ვდებთ, მოწოდებას  
 შევასრულებთ მტკიცედ, მარჯვედ,  
 გმირები თუ საზღვარს იცავს,  
 ჩვენ სწავლაში გავიმარჯვებთ!

გზა კარგი და ნათელია,  
 ლენინის გზას მივყევთ კვალად,  
 და მწვერვალზე რომ მოვექცეთ, —  
 საპირობა სწავლა, სწავლა!

ქ. მახარაძის საშუალო სკოლის  
 VIII კლასის მოსწავლე კაკო ხინთიბიძე.

